საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ავაზა

ავაზა.

ავაზა, გეპარდი (Acinonyx jubatus), საშუალო ტანის მტაცებელი ცხოველი კატისებრთა ოჯახისა (ხშირად უმართებულოდ გაიგივებულია ვეფხვთან და ჯიქთან).

მისი სხეულის სიგრძე 150 სმ აღწევს, სიმაღლე – 100 სმ, კუდის სიგრძე – 75 სმ. შავხალებიანი სხეული აქვს. გავრცელებულია აფრ., ინდ., წინა და შუა აზიის ტრამალებში. XVIII ს-მდე ბინადრობდა მტკვარ-არაქსის დაბლობზედაც.

შუა საუკ. საქართველოში მოშინაურებულ ა-ს ქურციკებზე სანადიროდ გეშავდნენ. დარბის სწრაფად, საათში 100 კმ ავითარებს. ამჟამად ა. ყველგან იშვიათი სახეობაა.

ა. არაბული